სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080166930299223

№ 751 06 / მარტი / 2023 წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2023 წლის 01 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის SMP230000687 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდული ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა ცაგერის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების თოვლწმენდის სამუშაოების შესყიდვა (CPV 90600000 - ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები), ღირებულებით 54095 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2023 წლის თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თოვლის სახით მოსულმა უხვმა ნალექმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურას, სოფლების და ქ. ცაგერის მაცხოვრებლებს. თოვლის საფარმა უმეტეს სოფლებში 1 მ-ს გადააჭარბა. შეუძლებელი შეიქმნა სოფლების მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილება. მრავალ ლოკაციაზე ადგილი ჰქონდა თოვლის ზვავების და მეწყრული მოვლენების განვითარებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ საფრთხე არ შექმნოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, აუცილებელი გახდა, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო თოვლწმენდის სამუშაოების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის თანახმად, 2023 წლის თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თოვლის სახით მოსულმა უხვმა ნალექმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურას, სოფლების და ქ. ცაგერის მაცხოვრებლებს. თოვლის საფარმა უმეტეს სოფლებში 1 მ-ს გადააჭარბა. შეუძლებელი შეიქმნა სოფლების მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილება. მრავალ ლოკაციაზე ადგილი ჰქონდა თოვლის ზვავების და მეწყრული მოვლენების განვითარებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ საფრთხე არ შექმნოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, აუცილებელი გახდა, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო თოვლწმენდის სამუშაოების შესყიდვა.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-13 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე